ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1344894

ნომერი: AR1231075

თარიღი : 22.06.2014

გაცემის თარიღი : 25.06.2014

გაცნობის თარიღი : 25.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , I-II მ/რ-ს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთვი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი AR1231075 22.06.2014 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.11.12.013.034 საკადასტრო ერთეულზე პოლიკლინიკის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთი გამოიყო ტერიტორიიდან, რომელზეც სამსახურის მიერ პოლიკლინიკის ასაშენებლად გაიცა #68429 06.03.2012 გადაწყვეტილება–მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა – ბრძანება #159891 18.05.2012. იმ შემთხვევაში თუ დღევანდელი მდგომარეობით ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული თავდაპირველად ცვლილება უნდა განხორციელდეს #68429 06.03.2012 გადაწყვეტილებაში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მხოლოდ #01.11.12.013 035 საკადასტრო ერთეულის დაფიქსირებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტი უკვე მიღებულია ექსპლუატაციაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მისი ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან ვინაიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთზეც მიმდინარეობს პოლიკლინიკის მშენებლობა გთხოვთ დააზუსტოთ მოთხოვნა, რა ფუნქციის იქნება საპროექტო ობიექტი.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 22 ივნისს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.